საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1339 2024 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ (ს/ნ: 445601126) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 84 904 (ოთხმოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხი) ლარად, იჯარის უფლებით გადასცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალსოფელში მდებარე 15 042 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №22.29.01.876).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) საიჯარო ქირის – 84 904 (ოთხმოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის საკომპენსაციო თანხის – 25 506 (ოცდახუთი ათას ხუთას ექვსი) ლარის გადახდა შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე